თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის 4 მარტის
მორიგი სხდომის
ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 4 მარტის 2026 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. ნინო მახათაძე, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ლაშა გურგენიძე, 14. თემური ქოჩიაშვილი, 15.ომარი ჯიხვაშვილი, 16. მაკა ყიფშიძე, 17. ნატო კვეტენაძე, 18. იუზა უგრეხელიძე, 19. ერეკლე კირკიტაძე, , 20. გიორგი თურქაძე, 21. მამული კოვზირიძე, 22.შალვა ჭანკვეტაძე, 23. გიორგი ბრეგაძე, 24. გიორგი ქასრაშვილი, 25. რამაზი ლორთქიფანიძე, 26. მირზა აფრიდონიძე, 27. მანუჩარ ფანჩულიძე, 28. გიორგი ბერეკაშვილი, 29. ნოდარი ხოხიაშვილი, 30. ელისო მურადაშვილი, 31. გრიგოლ გიორგაძე, 32. გიორგი ყაზაიშვილი, 33. ვლადიმერ მაკარიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.გოჩა ვერულაშვილი 2. ჯანო რობაქიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 33 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე,
მერის მოადგილე: მირზა ქოჩიაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ავთანდილ ურიადმყოფელი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის მ/შ - ნათია სახეჩიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - არჩილ ქოჩიაშვილი.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{30}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282605869, 27.02.2026 წ.);

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ანგარიში (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282605461, 23.02.2026 წ.);

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282606343, 04.03.2026 წ.).

მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -33, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ (საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 26 თებერვლის N431 განკარგულების

შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტს ფინანსური დახმარების სახით გამოეყო 2 000 000 ლარი) , ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 200.0 ათასი ლარით და შეადგენს 33858.4 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 200.0 ათასი ლარით (გრანტი-ფინანსური დახმარება).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 200.0 ათასი ლარით. მ/შორის:
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება გაიზარდა - 100.0 ათასი ლარით.
მუნიციპალიტეტის მერის დაფინანსება გაიზარდა - 300.0 ათასი ლარით.
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის დაფინანსება გაიზარდა - 300.0 ათასი ლარით.
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება გაიზარდა - 130.0 ათასი ლარით.
ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა - 600.0 ათასი ლარით.
საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსება გაიზარდა - 150.0 ათასი ლარით.
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა- 420.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-32, წინააღმდეგი-1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი(დადგენილება №39, 04/03/2026წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ანგარიში.
ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამირებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება.
„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებით - 20650.0 ათასი ლარის ოდენობით (საკუთარი შემოსავლები - 20350.0 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან - 300.0 ათასი ლარი).
2025 წლის 1 იანვრისთვის ნამთი შეადგენდა 228.0 ათას ლარს. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 119.0 ათას ლარს და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი - 109.00 ათას ლარს.

2025 წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 18-ჯერ განახორციელდა (მერის ბრძანებით 6-ჯერ და საკრებულოს მიერ - 12-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 41077.8 ათასი ლარით ((საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 26000.9 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 15076.9 ათასი ლარი)).
2025 წლის ბიუჯეტის წლიური ფაქტიური შემოსულობები 40371.5 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 39056.9 ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის პირველი იანვრისთვის ნაშთი დარჩა 1314.6 ათასი ლარი. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 522.7 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან - 791.9 ათასი ლარი.
თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის წლიურმა ფაქტიურმა შემოსავლებმა 40371.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (41077.8 ათასი ლარი) 98,2%-ია.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ანგარიში(განკარგულება № 29.2926063001, 04/03/2026წ.).

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - ცვლილების მიზანია დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების მექანიზმის გაუმჯობესება და მოსაკრებლის ამოღების ეფექტიანობის გაზრდა. აღნიშნული ცვლილება ემსახურება მუნიციპალიტეტის მიერ სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-სთან ხელშეკრულების გაფორმებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება განხორციელდეს ელექტროენერგიის ანგარიშთან ინტეგრირებულად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი პროექტით 2015 წლის დადგენილებაში დამტკიცებული ინსტრუქცია ყალიბდება ახალი რედაქციით, რაც უზრუნველყოფს მოსაკრებლის დარიცხვისა და ამოღების პროცესის სამართლებრივად გამართულ და ეფექტიან რეგულირებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბერეკაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ , რამაზ ლორთქიფანიძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი(დადგენილება №38, 04/03/2026წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 4 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე